N333/9
07.06.18

ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის მფლობელი ავტორიზებული პირების ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმებთან დაშვების მომსახურების ტარიფის ხარჯზე ორიენტირებულობის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიამ 2018 წლის 29 მარტს მიიღო №205/23 გადაწყვეტილება „ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის მფლობელი ავტორიზებული პირების ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმებთან დაშვების მომსახურების ტარიფის ხარჯზე ორიენტირებულობის შესწავლის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე". აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად ზეპირი მოსმენის სხდომის თარიღად განისაზღვრა 2018 წლის 7 ივნისი 15:00 საათზე. კომისიის 2018 წლის 3 მაისის N260/19 გადაწყვეტილებით ზეპირი მოსმენის სხდომა გადაინიშნა 2017 წლის 7 ივნისს.

კომისია აღნიშნავს, რომ ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონი 52^2 მუხლი განსაზღვრავს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელისა და ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის მფლობელი ავტორიზებული პირის ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმებთან „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საეთერო მაუწყებლობაზე ავტორიზებული მაუწყებლის დაშვების წესს, რომლის მიზანია თანაბრად იქნას დაცული როგორც მულტიპლექსპლატფორმის მფლობელის, ასევე, მაუწყებლის და მომხმარებლის ინტერესი. აღნიშნული კანონის 52^2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი და ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის მფლობელი ავტორიზებული პირი ვალდებული არიან, ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმებთან „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საეთერო მაუწყებლობაზე ავტორიზებული მაუწყებლები დაუშვან არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი პირობებით და ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფებით, აგრეთვე მიაწოდონ მათ ერთგვაროვანი ხარისხის მომსახურება.

კომისია აღნიშნავს, რომ ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმებთან დაშვების ტარიფის ხარჯზე ორიენტირებულობის კანონისმიერი მოთხოვნის დაცვა მნიშვნელოვნად განაპირობებს მაუწყებელთათვის გავრცელების საშუალების ხელმისაწვდომობას და აქედან გამომდინარე, მაუწყებელთა მრავალფეროვნებას, რაც ხელს უწყობს სატელევიზიო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და მედიის განვითარებას, ასევე, მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას სხვადასხვა სამაუწყებლო არხიდან მიიღოს ინფორმაცია.

კომისია აღნიშნავს, რომ მიმდინარე საჯარაო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საკითხის ზეპირი მოსმენა კომისიაში გაიმართა 2018 წლის 7 ივნისს. სხდომას ესწრებოდა შპს „ტელეკომპანია დიას" დირექტორი მაია ტატუნაშვილი.

კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომაზე კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის (დ. გოგიჩაიშვილი) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად:

ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის მფლობელი ავტორიზებული პირების ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმებთან დაშვების მომსახურების ტარიფის ხარჯზე ორიენტირებულობის შესწავლის მიზნით, ავტორიზებული პირებისაგან გამოთხოვილი იქნა კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების" და კომისიის მიერ შედგენილი ცხრილების მიხედვით უახლოესი მონაცემების საფუძველზე მომზადებული ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურებების ტარიფების გაანგარიშების მოდელი.

აღნიშნული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ავტორიზებული პირებისაგან გამოთხოვილი იქნა კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების

მეთოდოლოგიური წესების" და კომისიის მიერ შედგენილი ცხრილების მიხედვით უახლოესი მონაცემების საფუძველზე მომზადებული ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურებების ტარიფების გაანგარიშების მოდელი.

ავტორიზებულმა პირებმა ტარიფის გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინეს შემდეგი თარიღებისა და წერილების მიხედვით: შპს „სამაუწყებლო კომპანია იმერვიზიამ" გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2017 წლის 15 დეკემბრის N შ-6/9405-17 წერილით, სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიამ" (რუსთავი) გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2018 წლის 19 თებერვლის N შ-6/854-18 წერილით, სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიამ" (მარნეული) გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2018 წლის 19 თებერვლის N შ-6/854-18 წერილით, სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიამ" (ბოლნისი) გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2018 წლის 19 თებერვლის N შ-6/854-18 წერილით, შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგომ" გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2018 წლის 19 თებერვლის N შ-6/879-18 წერილით, შპს „ტელე-რადიო კომპანია ბორჯომმა" გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2018 წლის 16 თებერვლის N შ-6/830-18 წერილით, შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღამ გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2017 წლის 15 დეკემბრის N შ-6/9421-17 წერილით, შპს „იმპერიამ" გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2017 წლის 15 დეკემბრის N შ-6/9407-17 წერილით, შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთმა" გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2017 წლის 21 სექტემბრის N შ-6/7147-17 წერილით, შპს „ტელეკომპანია დიამ" გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2018 წლის 8 იანვრის N შ-6/71-18 წერილით, შპს „ტელეკომპანია გურჯაანმა" გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2017 წლის 18 დეკემბრის N შ-6/9440-17 წერილით, შპს „ტელე-რადიო კომპანია ზარმა" გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2017 წლის 19 დეკემბრის N შ-6/9467-17 წერილით, შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა ტვიმ" გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2018 წლის 13 თებერვლის N შ-6/771-18 წერილით, შპს „ტელეკომპანია ეგრისმა" გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2018 წლის 12 თებერვლის N შ-6/763-18 წერილით, შპს „ტელეკომპანია თანამგზავრმა" გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2017 წლის 27 დეკემბრის N შ-6/9649-17 წერილით, შპს „ტვ 25-მა" გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2018 წლის 1 იანვრის N შ-6/75-18 წერილით, შპს „დამოუკიდებელი ტელე-რადიო კოპანია ოდიშმა" გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2017 წლის 18 დეკემბრის N შ-6/9446-17 წერილით, შპს „ეკომმა" გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2018 წლის 19 თებერვლის N შ-6/864-18 წერილით, ააიპ „ მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის" (ჩხოროწყუ) გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2017 წლის 28 დეკემბრის N შ-6/9685-17 წერილით, ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის" (წალენჯიხა) გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2017 წლის 28 დეკემბრის N შ-6/9685-17 წერილით, შპს „ტელე-რადიო კომპანია თვალმა" გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2018 წლის 19 თებერვლის N შ-6/863-18 წერილით, შპს „ომეგამ" გაანგარიშება კომისიაში წარმოადგინა 2018 წლის 19 თებერვლის N შ-6/886-18 წერილით. იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ტელერადიოკომპანია რიონის" წინააღმდეგ შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა-ტვ"-ის საჩივრის განხილვის თაობაზე (კომისიის 2017 წლის 20 აპრილის N273/16 გადაწყვეტილება) შპს „ტელერადიოკომპანია რიონს" კომისიაში წარმოდგენილი ჰქონდა ტარიფის გაანგარიშების მოდელი, შპს „ტელერადიოკომპანია რიონს" კომისიაში დამატებით ინფორმაცია არ წარმოუდგენია. ასევე, „ამხანაგობა თბილისის მულტიპლექსის" მიერ თბილისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტის) ხარჯზე ორიენტირებულობის საკითხის შესწავლისას წარმოდგენილი იქნა ტარიფის გაანგარიშების მოდელი (09.08. 2017), შესაბამისად, „ამხანაგობა თბილისის მულტიპლექსს" კომისიაში დამატებით ინფორმაცია არ წარმოუდგენია.

ერთიანი მიდგომით ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმებთან დაშვების მომსახურების დანახარჯების მოდელი და გააგნარიშების შედეგები

ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის მფლობელი ავტორიზებული პირების ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმებთან დაშვების მომსახურების ტარიფის გაანგარიშებისას გამოყენებული იქნა დანახარჯების სრულად განაწილების (FDC) მეთოდი.

კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების" მიხედვით, სრულად განაწილებული დანახარჯების (FDC) მეთოდი წარმოადგენს ავტორიზებული პირის საოპერაციო საქმიანობის დანახარჯების სრულ განაწილებას. აღნიშნული მეთოდით გასანაწილებელი ხარჯები პირდაპირ ან არაპირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული მომსახურების გაწევასთან. საოპერაციო დანახარჯები, სხვა ხარჯებთან ერთად მოიცავს, მომსახურებასთან დაკავშირებულ გრძელვადიანი

აქტივების (ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივების) ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯს. სრულად განაწილებული დანახარჯების მეთოდი მოითხოვს მიზეზობრიობის პრინციპის დაცვას, ხარჯები უნდა მიეკუთვნოს სწორედ იმ მომსახურებას, რომლის გამოც გაიწია დანახარჯი.

ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმებთან დაშვების მომსახურების დანახარჯთა კალკულაციის მოდელი აიგო შემდეგი ეტაპების მიხედვით:

ა) **პირველი ეტაპი** - პირველ ეტაპზე დანახარჯები საბუღალტრო აღრიცხვის სისტემიდან დაიყო საოპერაციო და კაპიტალურ ხარჯებად;

ბ) **მეორე ეტაპი** - დანახარჯები მიზეზობრიობის პრინციპის დაცვით მიეკუთვნა ცალკეული მომსახურების სახეებს, ქსელის კომპონენტებს და სხვა დამხმარე ფუნქციებს (მაგ. დაგეგმვა, ადმინისტრირება და ა.შ.);

გ) **მესამე ეტაპი** - ამ ეტაპზე მოხდა კაპიტალური დანახარჯების გაანგარიშება. კაპიტალური დანახარჯები იანგარიშება შემდეგი ფორმულით: CAPEX = გრძელვადიანი აქტივის საბალანსო ღირებულება x WACC. გრძელვადიანი აქტივი მხოლოდ ის ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივებია, რომლებიც აუცილებელია მომსახურების მისაწოდებლად;

დ) **მეოთხე ეტაპი** - ამ ეტაპზე მოხდა მომსახურების ღირებულების გაანგარიშება. შეჯამდა წინა სამი ეტაპის მონაცემები და საბოლოო შედეგი გაიყო მულტიპლექსის პოტენციურ დატვირთვაზე. შესაბამისად, ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმებთან დაშვების მომსახურების ტარიფის გაანგარიშება შემდეგი ფორმულით განხორციელდა:

$$\textit{დანახარჯი 1 მგბტ/წმზე} = \frac{\textit{საოპერაციო ხარჯები} + (\textit{გრძელვადიანი აქტივები x } WACC) + \textit{ცვეთა და ამორტიზაცია}}{\textit{მულტიპლექსის პოტენციური დატვირთვა}}$$

შენიშნვა: გაანგარიშებაში წარმოდგენილი მონაცამები არ შეიცავს გადასახადებს.

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (შემდგომში „WACC)

WACC ასახავს მულტიპლექსპლატფორმის ქსელის კომპონენტებში და მასთან დაკავშირებულ აქტივებში ინვესტიციის ალტერნატიულ დანახარჯებს და ინვესტიციაზე უკუგებას. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების ოდენობა განისაზღვრა კომისიის 2017 წლის 5 სექტემბრის N 592/9 გადაწყვეტილებით („მობილური და ფიქსირებული ქსელებისთვის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) დადგენის თაობაზე“) დადგენილი WACC-ის განაკვეთი - 13.7 პროცენტია.

ცვეთა და ამორტიზაცია

ავტორიზებული პირების მიერ წარმოდგენილ გაანგარიშებაში გრძელვადიან აქტივებს ცვეთა დაერიცხა წრფივი მეთოდით. ცვეთის ვადის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა აქტივის მწარმოებლის ინფორმაცია აპარატურის სასარგებლო მომსახურების ვადის შესახებ. მულტიპლექსპლატფორმებთან დაშვების მომსახურების ტარიფის გაანგარიშების ერთიანი მიდგომის გამოყენების მიზნით, მსგავსი კატეგორიის ძირითად საშუალებებს ცვეთა ერთი და იგივე სასარგებლო მომსახურების ვადისა და ცვეთის მეთოდით დაერიცხათ.

ცხრილი N1-ში მოცემულია მომსახურების მიწოდებისას გამოყენებული აქტივების დასახელება და მომსახურების ვადები.

ცხრილი N1

აქტივების ჩამონათვალი	**სასარგებლო მომსახურების ვადა**
სატელევიზიო გადამცემი	10 წელი
ანტენა	15 წელი
ენკოდერი	10 წელი
მოდულატორი და გამაძლიერებელი	10 წელი
გენერატორი	5 წელი
UPS და გარდამქმნელები	5 წელი
კონდიციონერი	5 წელი

კომპიუტერი	5 წელი
ვიდეო კამერა	5 წელი
ანძა	15 წელი
„რელეიკა“	5 წელი
"კომბაინერი"	5 წელი
"ფიდერი"	5 წელი
ელ. კვების სისტემები	5 წელი
შენობები	10 წელი

გრძელვადიანი აქტივების ღირებულება

ავტორიზებული პირების მიერ წარმოდგენილ გაანგარიშებაში გრძელვადიანი აქტივები აღრიცხულია ისტორიული ღირებულების მიხედვით. ისტორიული ღირებულებით აღრიცხვის მეთოდის მიხედვით, აქტივების მთლიანი ღირებულება განისაზღვრება მისი პირვანდელი შესყიდვის ფასით. ცვეთა გამოიანგარიშება აქტივების მთლიან ღირებულებაზე დაყრდნობით, ხოლო აქტივების ნეტო ღირებულება გამოიანგარიშება მთლიანი ღირებულებიდან დარიცხული ცვეთის გამოკლებით. ცხრილი N2-ში მოცემულია ავტორიზებული პირების მიერ მულტიპლექს პლატფორმის აშენებაში განხორციელებული ინვესტიციების შესახებ ინფორმაცია.

ცხრილი N2

	ავტორიზებული პირი	**რეგიონი**	**ინვესტიციები (ლარი)**
1	„თბილისის მულტიპლექსი“	თბილისი	577,967
2	შპს „ტელე-რადიო კომპანია რიონი“	ქუთაისი	90,966
3	შპს „სამაუწყებლო კომპანია იმერვიზია“	ჭიათურა	99,840
4	სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ (რუსთავი)	რუსთავი	63,595
5	სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ (მარნეული)	მარნეული	33,255
6	შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგო“	ზესტაფონი	29,631
7	შპს „ტელე-რადიო კომპანია ბორჯომი“	ბორჯომი	23,185
8	შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა“	ფოთი	39,700*
9	შპს „იმპერია“	ახალციხე	იჯარა
10	შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთი“	გორი	164,142*
11	შპს „ტელეკომპანია დია“	ხაშური	87,732
12	შპს „ტელეკომპანია გურჯაანი“	გურჯაანი	25,545
13	შპს „ტელე-რადიო კომპანია ზარი“	სამტრედია	179,510*
14	შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა ტვ“	ხონი	78,699
15	შპს „ტელეკომპანია ეგრისი“	სენაკი	161,737*
16	სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია (ბოლნისი)“	ბოლნისი	35,070
17	შპს „ტელეკომპანია თანამგზავრი“	თელავი	75,341
18	შპს „ტვ 25“	ბათუმი	44,664
19	შპს „დამოუკიდებელი ტელე-რადიო კოპანია ოდიში“	ზუგდიდი	126,263*
20	შპს „ეკომი“	ლაგოდეხი	38,382
21	ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ (ჩხოროწყუ)	ჩხოროწყუ	იჯარა
22	ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ (წალენჯიხა)	წალენჯიხა	იჯარა
23	შპს „ტელე-რადიო კომპანია თვალი“	საგარეჯო	18,775
24	შპს „ომეგა“	მანგლისი	N/A

შენიშვნა: შპს „დამოუკიდებელი ტელე-რადიო კოპანია ოდიში“, შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთი“, შპს „ტელე-რადიო კომპანია ზარი“ და შპს „ტელეკომპანია ეგრისი“ მათ მიერ აშენებული ანძებით საქმიანობენ. შესაბამისად, აღნიშნული კომპანიების მიერ განხორციელებული ინვესტიციები სხვა მულტიპლექს ოპერატორთან შედარებით უფრო დიდი მოცულობისაა.

საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯებში გათვალისწინებულია მომსახურების გაწევაზე გაწეული მატერიალური ხარჯები, შრომის დანახარჯები (ხელფასები) და საერთო ადმინისტრაციული ზედნადები დანახარჯები. ავტორიზებული პირების მიერ წარმოდგენილ გაანგარიშებაში საოპერაციო დანახარჯები შემდეგ კატეგორიებად არის დაყოფილი: ა) ელ ენერგია და საწვავი; ბ) რემონტი და შეკეთება; გ) პერსონალის ხელფასი; დ) ქსელის ელემენტების იჯარის ხარჯები. ზედნადები დანახარჯები მთლიანი პირდაპირი დანახარჯების 15 პროცენტს შეადგენს. კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების” მიხედვით, „სხვა ფუნქციებზე“ (მაგალითად დაგეგმვა, ადმინისტრირება და ა.შ.) რაოდენობრივი ფაქტორების გამოყენების გარეშე განაწილებული ხარჯების მთლიანმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხარჯების მთლიანი ოდენობის 15 პროცენტს.

ცხრილი N3-ში მოცემულია კომპანიების მიხედვით საოპერაციო დანახარჯები ჯამურად.

ცხრილი N3

N	ავტორიზებული პირი	რეგიონი	საოპერაციო ხარჯები თვეში (ლარი)
1	„თბილისის მულტიპლექსი“	თბილისი	30,774
2	შპს „ტელე-რადიო კომპანია რიონი“	ქუთაისი	16,608
3	შპს „სამაუწყებლო კომპანია იმერვიზია“	ჭიათურა	7,788
4	სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ (რუსთავი)	რუსთავი	11,928
5	სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ (მარნეული)	მარნეული	8,645
6	შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგო“	ზესტაფონი	6,989
7	შპს „ტელე-რადიო კომპანია ბორჯომი“	ბორჯომი	5,905
8	შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა“	ფოთი	5,902
9	შპს „იმპერია“	ახალციხე	7,250
10	შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთი“	გორი	7,293
11	შპს „ტელეკომპანია დია“	ხაშური	7,376
12	შპს „ტელეკომპანია გურჯაანი“	გურჯაანი	4,855
13	შპს „ტელე-რადიო კომპანია ზარი“	სამტრედია	4,333
14	შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა ტვ“	ხონი	11,958
15	შპს „ტელეკომპანია ეგრისი“	სენაკი	3,679
16	სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია “ (ბოლნისი)	ბოლნისი	8,316
17	შპს „ტელეკომპანია თანამგზავრი	თელავი	5,410
18	შპს „ტვ 25	ბათუმი	3,996
19	შპს „დამოუკიდებელი ტელე-რადიო კოპანია ოდიში“	ზუგდიდი	3,755
20	შპს „ეკომი“	ლაგოდეხი	2,283
21	ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ (ჩხოროწყუ)	ჩხოროწყუ	700
22	ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ (წალენჯიხა)	წალენჯიხა	700
23	შპს „ტელე-რადიო კომპანია თვალი“	საგარეჯო	624
24	შპს „ომეგა“	მანგლისი	1,725

მომსახურებაზე მოთხოვნის მოცულობის განსაზღვრა

ავტორიზებული პირის მულტიპლექსში შესაძლებელია სტანდარტული გარჩევადობის „SD“ და მაღალი გარჩევადობის „HD” არხების ჩართვა. “SD” და „HD” არხების კომბინაციების დიდი რაოდენობა არსებობს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია სრული გამტარუნარიანობის ათვისება, თუმცა ქსელის თავისუფალ რესურსებთან დაშვების ტარიფის გაანგარიშებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია აღნიშნულ მომსახურებაზე პოტენციური მოთხოვნის (პოტენციური დატვირთვა მგბტ-ში) მოცულობის დადგენა, რადგან ავტორიზებულმა პირმა შესძლოს მის მიერ მულტიპლექსზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება. აღნიშნული მიდგომა გამოყენებული იქნა „Analysys Mason Limited“-ის მიერ მაკედონიის რესპუბლიკის ელექტრონული კომუნიკაციებიის სააგენტოსთვის მომზადებულ ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმებთან დაშვების მომსახურების ხარჯზე ორიენტირებული მოდელის და WACC გაანგარიშებისას (Model documentation for the Agency for Electronic Communications of the Republic of Macedonia - “Final report for cost based model for broadcasting free to air services on the DTT platform and associated WACC”, *27 April 2016,* Ref: 2005425-183*).* ევროპის სხვა ქვეყნების მულტიპლექსპლატფორმასთან დაშვების მომსახურების ტარიფის გაანგარიშების მოდელების შესწავლისას გაირკვა, რომ ევროპის ქვეყნების უმრავლეს ნაწილში (გამონაკლისის გარდა ყველგან) აღნიშნული მომსახურება რეგულირებას აღარ ექვემდებარება. შესაბამისად, მაკედონიის რესპუბლიკის ზემოთ მოცემული დოკუმენტი ყველაზე უფრო უახლოესი პერიოდისაა, აღნიშნულის გამო ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა ამ დოკუმენტში მოცემული ტარიფის გაანგარიშების ძირითადი პრინციპები და დაშვებები.

პოტენციური დატვირთვა მგბტ-ში გაანგარიშებული იქნა შემდეგი ფორმულით:

პოტენციური დატვირთვა = ფაქტიური დატვირთვა + ტელემაუწყებლების დაშვებაზე მოთხოვნა + ერთი სარეზერვო SD არხი + SD არხის HD არხში კონვერტირება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში)

ცხრილი N4

N	ავტორიზებული პირი	ფაქტიური Mbit/s	მოთხოვნა SD/HD (რაოდენობა)	HD არხზე გადასვლა (Mbit/s)	სარეზერვო არხი SD	სულ შესაძლო დატვირთვა (Mbit/s)
1	„თბილისის მულტიპლექსი“	15	1	-	1	19
2	შპს „ტელე-რადიო კომპანია რიონი“	21	2*	-	-	21
3	შპს „სამაუწყებლო კომპანია იმერვიზია“	5	1	6	1	15
4	სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ (რუსთავი)	3	3	-	1	18
5	სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ (მარნეული)	6	-	6	1	14
6	შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგო“	3	2	6	1	15
7	შპს „ტელე-რადიო კომპანია ბორჯომი“	3	1	6	1	13
8	შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა“	3	1	6	1	13
9	შპს „იმპერია“	3	1	6	1	13
10	შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთი“	7	2	-	1	13
11	შპს „ტელეკომპანია დია“	4	2	6	1	16
12	შპს „ტელეკომპანია გურჯაანი“	4	1	6	1	14
13	შპს „ტელე-რადიო კომპანია ზარი“	7	1	-	1	11
14	შპს „დამოუკიდებელი					12

N	ავტორიზებული პირი	ფაქტიური Mbit/s	მოთხოვნა SD/HD (რაოდენობა)	HD არხზე გადასვლა (Mbit/s)	სარეზერვო არხი SD	სულ შესაძლო დატვირთვა (Mbit/s)
	ტელეკომპანია მეგა ტვ“	5	2	-	1	
15	შპს „ტელეკომპანია ეგრისი“	8	1	6	1	18
16	სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ (ბოლნისი)	7	-	6	1	15
17	შპს „ტელეკომპანია თანამგზავრი“	6	2	-	1	13
18	შპს „ტვ 25“	9	1	-	1	14
19	შპს „დამოუკიდებელი ტელე-რადიო კოპანია ოდიში“	22	1	-	1	26
20	შპს „ეკომი“	3	1	6	1	13
21	ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ (ჩხოროწყუ)	5	1	6	1	15
22	ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ (წალენჯიხა)	9	1	-	1	13

შენიშვნა*: მიუხედავად იმისა, რომ შპს „ტელე-რადიო კომპანია რიონის“ მულტიპლექსთან დაშვების სურვილი აქვთ შპს „იმერ TV“-ს და სს "ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიას", შპს „ტელე-რადიო კომპანია რიონის“ მულტიპლექსის პოტენციური დატვირთვის გააგნარიშებისას არ იქნა გათვალისიწნებული აღნიშნული მონაცემები, რადგან მულტიპლექსი სრულად დატვირთულია.

მულტიპლექსების ფაქტიური დატვირთვა

თითოეული მულტიპლექსის ფაქტიური დატვირთვის დასადგენად, რადიოსიხშირეთა სპექტრის მართვის დეპარტამენტის მიერ შესრულებული იქნა ფაქტიური გაზომვები, რომლის საფუძველზეც რადიოსიხშირეთა სპექტრის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი იქნა (რადიოსიხშირეთა სპექტრის მართვის დეპარტამენტის უფროსის ს. შავგულიძის 2018 წლის 27 მარტის N10/1614-18 სამსახურებრივი ბარათი) ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის მფლობელი ავტორიზებული პირების სატელევიზიო ქსელში ინფორმაციის გადაცემის წმინდა სიჩქარის (მბტ/წმ-ში), მათ შორის, ფაქტიური დატვირთვის და მიღწევადი გადაცემის სიჩქარის შესახებ მონაცემები. ცხრილი N5-ში მოცემულია მულტიპლექს პლატფორმების მიხედვით ფაქტიური დატვირთვისა და დასაშვები ჯამური სიჩქარის შესახებ ინფორმაცია.

ცხრილი N5

N	ავტორიზებული პირი	დასაშვები ჯამური სიჩქარე (Mbit/s)	ფაქტიური დატვირთვა სიჩქარე (Mbit/s)
1	„თბილისის მულტიპლექსი“	40	15
2	შპს „ტელე-რადიო კომპანია რიონი“	22	21
3	შპს „სამაუწყებლო კომპანია იმერვიზია“	20	5
4	სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ (რუსთავი)	25	3

N	ავტორიზებული პირი	დასაშვები ჯამური სიჩქარე (Mbit/s)	ფაქტიური დატვირთვა სიჩქარე (Mbit/s)
5	სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ (მარნეული)	18	6
6	შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგო“	18	3
7	შპს „ტელე-რადიო კომპანია ბორჯომი“	15	3
8	შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა“	15	3
9	შპს „იმპერია“	18	3
10	შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთი“	27	7
11	შპს „ტელეკომპანია დია“	30	4
12	შპს „ტელეკომპანია გურჯაანი“	15	4
13	შპს „ტელე-რადიო კომპანია ზარი“	18	7
14	შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა ტვ“	40	5
15	შპს „ტელეკომპანია ეგრისი“	18	8
16	სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ (ბოლნისი)	29	7
17	შპს „ტელეკომპანია თანამგზავრი“	31	6
18	შპს „ტვ 25“	28	9
19	შპს „დამოუკიდებელი ტელე-რადიო კოპანია ოდიში“	40	22
20	შპს „ეკომი“	18	3
21	ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ (ჩხოროწყუ)	20	5
22	ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ (წალენჯიხა)	22	9
23	შპს „ტელე-რადიო კომპანია თვალი“	არ ფუნქციონირებს	-
24	შპს „ომეგა“	არ ფუნქციონირებს	-

მულტიპლექსთან დაშვებაზე მოთხოვნილ განსაზღვრა

საქართველოში მოქმედი ტელემაუწყებლების მხირდან ადგილობრივ მულტიპლექსში დაშვების სურვილის დასადგენად კომისიამ მიმართა ყველა მაუწყებელს (კომისიის 2018 წლის 12 მარტის N08/857-18 წერილი) და ითხოვა კომისიისთვის მოეწოდებინა ინფორმაცია მათ მიერ მულტიპლექს(ებ)ში ჩართვის სურვილის შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია სტანდარტული (SD) და მაღალი (HD) გარჩევადობის ფორმატის მითითებით. ტელემაუწყებლების მიერ კომისიაში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ირკვევა:

1. სს "ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია"-ს სურს ყველა მულტიპლექსთან დაშვება (ადგილობრივი მულტიპლექს ოპერატორების ქსელში დაკავებული რესურსის, ფასების და დაშვების რიგითობის შესახებ ინფორმაცია. 4 აპრილი 2018 წელი. http://gncc.ge/ge/regulation/digital-broadcatsing/adgilobrivi-multipleqs-operatorebis-qselshi-dakavebuli-resursis-fasebis-da-dashvebis-rigitobis-shesaxeb-informacia.page).
2. შპს „ტელეკომპანია დიას“ მულტიპლექსთან დაშვება სურს შპს „ტელეკომპანია თანამგზავრს“ (ადგილობრივი მულტიპლექს ოპერატორების ქსელში დაკავებული რესურსის, ფასების და დაშვების რიგითობის შესახებ ინფორმაცია. 4 აპრილი 2018 წელი. http://gncc.ge/ge/regulation/digital-broadcatsing/adgilobrivi-multipleqs-operatorebis-qselshi-dakavebuli-resursis-fasebis-da-dashvebis-rigitobis-shesaxeb-informacia.page);
3. შპს „ტელეკომპანია თანამგზავრის“ მულტიპლექსთან დაშვება სურს შპს „ტელეკომპანია დიას“ (ადგილობრივი მულტიპლექს ოპერატორების ქსელში დაკავებული რესურსის, ფასების და დაშვების

რიგითობის შესახებ ინფორმაცია. 4 აპრილი 2018 წელი. http://gncc.ge/ge/regulation/digital-broadcatsing/adgilobrivi-multipleqs-operatorebis-qselshi-dakavebuli-resursis-fasebis-da-dashvebis-rigitobis-shesaxeb-informacia.page);

4. შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოს“ მულტიპლექსთან დაშვება სურს შპს „იმერ TV“-ს (ადგილობრივი მულტიპლექს ოპერატორების ქსელში დაკავებული რესურსის, ფასების და დაშვების რიგითობის შესახებ ინფორმაცია. 4 აპრილი 2018 წელი. http://gncc.ge/ge/regulation/digital-broadcatsing/adgilobrivi-multipleqs-operatorebis-qselshi-dakavebuli-resursis-fasebis-da-dashvebis-rigitobis-shesaxeb-informacia.page);
5. შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთთან“ დაშვება სურს შპს „ტელეკომპანია დიას“ (ადგილობრივი მულტიპლექს ოპერატორების ქსელში დაკავებული რესურსის, ფასების და დაშვების რიგითობის შესახებ ინფორმაცია. 4 აპრილი 2018 წელი. http://gncc.ge/ge/regulation/digital-broadcatsing/adgilobrivi-multipleqs-operatorebis-qselshi-dakavebuli-resursis-fasebis-da-dashvebis-rigitobis-shesaxeb-informacia.page).
6. შპს „იმერ TV“-ის სურვილი აქვს შპს „ტელე-რადიო კომპანია რიონის“, შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა-ტივის“ და შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოს მულტიპლექსებთან დაშვების (ადგილობრივი მულტიპლექს ოპერატორების ქსელში დაკავებული რესურსის, ფასების და დაშვების რიგითობის შესახებ ინფორმაცია. 4 აპრილი 2018 წელი. (შპს „იმერ TV“-ის 2018 წლის 19 მარტს წერილი N შ-6/1447-18);
7. სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია რუსთავის“ მულტიპლექსთან დაშვების სურვილი აქვთ: შპს „ტელეკომპანია დიას“ , შპს „ტელეკომპანია თანამგზავრს“ და შპს „ხარისხის არხს“ (ადგილობრივი მულტიპლექს ოპერატორების ქსელში დაკავებული რესურსის, ფასების და დაშვების რიგითობის შესახებ ინფორმაცია. 4 აპრილი 2018 წელი. http://gncc.ge/ge/regulation/digital-broadcatsing/adgilobrivi-multipleqs-operatorebis-qselshi-dakavebuli-resursis-fasebis-da-dashvebis-rigitobis-shesaxeb-informacia.page).
8. თბილისის მულტიპლექსში ჩართვის სურვილი აქვს შპს „ტელეკომპანია მაესტროს“ (შპს „ტელეკომპანია მაესტროს“ 2018 წლის 19 მარტის წერილი N შ-6/1432-18).

SD არხის HD არხში კონვერტირება (გადაყვანა)

მულტიპლექსის დატვირთვისთის შეფასებისას გათვალიწინებული იქნა ასევე SD არხის HD არხში კონვერტირების ან/და მულტიპლესპლატფორმაში სულ მცირე ერთი HD არხის ჩართვით გამოწვეული მულტიპლექსის დატვირთვის მოცულობები. აღნიშნული მოცულობის გაანგარიშების მიზნით, ის მულტიპლექს(ებ)ი, სადაც არ იყო ჩართული HD არხი, გათვალიწინებული იქნა ასეთი არხის ჩართვით გამოწვეული მულტიპლექსის პოტენციური დატვირთვის ზრდა მგბტ/წამებში (HD-SD=8-2.15=5.85 იხ. ცხრილი N4).

სარეზერვო მოცულობა

სარეზერვო მოცულობაში გათვალიწინებულ იქნა ერთი SD არხის ჩართვისთვის საჭირო სიმძლავრე 2.15 მგბტ/წმ-ის მოცულობით.

გაანგარიშების შედეგები

ამ ეტაპზე გაანგარიშებული იქნა მულტიპლექსპლატფორმასთან დაშვების დანახარჯები. შესაბამისად, შეჯამდა საოპერაციო დანახარჯები და მათ ჯამს დაემატა კაპიტალის ღირებულება (გრძელვადიანი აქტივების საბალანსო ღირებულება x WACC-ზე). საბოლოო შედეგი გაიყო თითოეული მულტიპლექსპლატფორმის პოტენციურ დატვირთვაზე.

ცხრილი N 6-ში მოცემულია გაანგარიშების შედეგები მულტიპლექს ოპერატორების მიხედვით.

ცხრილი N6

N	ავტორიზებული პირი	რეგიონი	დანახარჯი 1 მგბ/წმ-ზე თვეში (ლარი)	დანახარჯი 1 SD თვეში (ლარი)
1	„თბილისის მულტიპლექსი“	თბილისი	2,089	4,491

N	ავტორიზებული პირი	რეგიონი	დანახარჯი 1 მგბ/წმ-ზე თვეში (ლარი)	დანახარჯი 1 SD თვეში (ლარი)
2	შპს „ტელე-რადიო კომპანია რიონი“	ქუთაისი	875	1,879
3	შპს „სამაუწყებლო კომპანია იმერვიზია“	ჭიათურა	669	1,438
4	სს „ ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ (რუსთავი)	რუსთავი	744	1,599
5	სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია “ (მარნეული)	მარნეული	658	1,414
6	შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგო“	ზესტაფონი	491	1,055
7	შპს „ტელე-რადიო კომპანია ბორჯომი“	ბორჯომი	489	1,051
8	შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა	ფოთი	503	1,082
9	შპს „იმპერია“	ახალციხე	550	1,183
10	შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთი“	გორი	758	1,631
11	შპს „ტელეკომპანია დია“	ხაშური	575	1,236
12	შპს „ტელეკომპანია გურჯაანი“	გურჯაანი	377	810
13	შპს „ტელე-რადიო კომპანია ზარი“	სამტრედია	650	1,398
14	შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა ტვ“	ხონი	1,136	2,442
15	შპს „ტელეკომპანია ეგრისი“	სენაკი	344	739
16	სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ (ბოლნისი)	ბოლნისი	611	1,314
17	შპს „ტელეკომპანია თანამგზავრი“	თელავი	547	1,176
18	შპს ტვ 25“	ბათუმი	352	757
19	შპს „დამოუკიდებელი ტელე-რადიო კოპანია ოდიში“	ზუგდიდი	242	520
20	შპს „ეკომი“	ლაგოდეხი	223	480
21	ააიპ„ მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ (ჩხოროწყუ)	ჩხოროწყუ	326	700
22	ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ (წალენჯიხა)	წალენჯიხა	326	700
23	შპს „ტელე-რადიო კომპანია თვალი“	საგარეჯო	N/A	N/A
24	შპს „ომეგა“	მანგლისი	N/A	N/A

მულტიპლექს ოპერატორების მიერ გამოქვეყნებული ოფერტების ხარჯზე ორიენტირებულობის დასადგენად ერთიანი მიდგომის გაანგარიშებით მიღებული შედეგები შედარებული იქნა ავტორიზებული პირების მიერ გამოქვეყნებულ ოფერტებთან და, ასევე, მათ მიერ კომისიაში წარმოდგენილ გაანგარიშებებასთან. მონაცემთა შედარების შედეგები 1 SD არხზე მოცემულია ცხრილი N 7-ში.

ცხრილი N 7

N	ავტორიზებული პირი	ერთიანი მიდგომით	წარმოდგენილი გაანგარიშებით	ოფერტით
1	„თბილისის მულტიპლექსი“	4,491	5,912	5,903
2	შპს „ტელე-რადიო კომპანია რიონი“	1,879	1,879	1,879
3	შპს „სამაუწყებლო კომპანია იმერვიზია“	1,438	1,013	2,580
4	სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“			1,075

N	ავტორიზებული პირი	ერთიანი მიდგომით	წარმოდგენილი გაანგარიშებით	ოფერტით
	(რუსთავი)	1,599	1,151	
5	სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ (მარნეული)	1,414	805	1,075
6	შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგო“	1,055	747	2,580
7	შპს „ტელე-რადიო კომპანია ბორჯომი“	1,051	1,105	2,107
8	შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა“	1,082	578	2,150
9	შპს „იმპერია“	1,183	753	911
10	შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთი“	1,631	1,074	2,580
11	შპს „ტელეკომპანია დია“	1,236	915	3,225
12	შპს „ტელეკომპანია გურჯანი“	810	462	2,107
13	შპს „ტელე-რადიო კომპანია ზარი“	1,398	727	2,580
14	შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა ტვ“	2,442	924	600
15	შპს „ტელეკომპანია ეგრისი“	739	816	860
16	სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ (ბოლნისი)	1,314	760	1,075
17	შპს „ტელეკომპანია თანამგზავრი“	1,176	1,742	2,494
18	შპს „ტვ 25“	757	2,664	1,075
19	შპს „დამოუკიდებელი ტელე-რადიო კოპანია ოდიში“	520	542	2,000
20	შპს „ეკომი“	480	562	1,290
21	ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ (ჩხოროწყუ)	700	700	593
22	ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ (წალენჯიხა)	700	700	593
23	შპს „ტელე-რადიო კომპანია თვალი“	N/A	N/A	N/A
24	შპს „ომეგა“	N/A	N/A	N/A

აღნიშნული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ავტორიზებული პირების მიერ მომსახურებაზე დაწესებული ტარიფების ხარჯზე ორიენტირებულობის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ „თბილისის მულტიპლექსის“, შპს „სამაუწყებლო კომპანია იმერვიზიის“, შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოს“, შპს „ტელე-რადიო კომპანია ბორჯომის“, შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღას“, შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთის“, შპს „ტელეკომპანია დიას“, შპს „ტელეკომპანია გურჯაანის“, შპს „ტელე-რადიო კომპანია ზარის“, შპს „ტელეკომპანია ეგრისის“, შპს „ტელეკომპანია თანამგზავრის“, შპს „ტვ 25“, შპს „დამოუკიდებელი ტელე-რადიო კოპანია ოდიშის“, შპს „ეკომის“ მიერ ოფერტით გამოქვეყნებული ტარიფები არ არის ხარჯზე ორიენტირებული. შესაბამისად, აღნიშნულმა ავტორიზებულმა პირებმა შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ მათ მიერ გამოქვეყნებული ოფერტები. შესაბამისად ზემოთ აღნიშნულმა ავტორიზებულმა პირებმა ცხრილი N8-ში მოცემული მონაცემების მიხედვით უნდა უზრუნველყონ მულტიპლექსპლატფორმებთან დაშვების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტა) განახლება.

ცხრილი N8

N	ავტორიზებული პირი	დანახარჯი 1 მგბ/წმ-ზე თვეში (ლარი)	დანახარჯი 1 SD თვეში (ლარი)	დანახარჯი 1 HD თვეში (ლარი)
1	„თბილისის მულტიპლექსი“	2,089	4,491	16,712
2	შპს „სამაუწყებლო კომპანია იმერვიზია“	669	1,438	5,349
3	შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგო“	491	1,055	3,927
4	შპს „ტელე-რადიო კომპანია ბორჯომი“	489	1,051	3,911
5	შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა“	503	1,082	4,025
6	შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთი“	758	1,631	6,067
7	შპს „ტელეკომპანია დია“	575	1,236	4,599
8	შპს „ტელეკომპანია გურჯაანი“	377	810	3,014
9	შპს „ტელე-რადიო კომპანია ზარი“	650	1,398	5,202
10	შპს „ტელეკომპანია ეგრისი“	344	739	2,748
11	შპს „ტელეკომპანია თანამგზავრი“	547	1,176	4,375
12	შპს „ტვ 25“	352	757	2,815
13	შპს „დამოუკიდებელი ტელე-რადიო კოპანია ოდიში“	242	520	1,934
14	შპს „ეკომი“	223	480	1,787

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2018 წლის 7 ივნისის ზეპირი მოსმენის სხდომაზე **შპს „ტელეკომპანია დიას“** წარმომადგენლის მიერ დასმული იქნა შეკითხვები შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთის“ მიერ წარმოდგენილ ფინანსურ/ეკონომიკურ მონაცემებთან დაკავშირებით. კერძოდ, შეკითხვები ეხებოდა **შპს „ტელეკომპანია დიას“** მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობას და ტარიფის გაანგარიშებაში გამოყენებული გრძელვადიანი აქტივების ღირებულებას.

დ. გოგიჩაიშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზებული პირების მიერ წარმოდგენილ გაანგარიშებაში გრძელვადიანი აქტივები აღრიცხულია ისტორიული ღირებულების მიხედვით. ისტორიული ღირებულებით აღრიცხვის მეთოდის მიხედვით, აქტივების მთლიანი ღირებულება განისაზღვრება მისი პირვანდელი შესყიდვის ფასით. ცვეთა გამოიანგარიშება აქტივების მთლიან ღირებულებაზე დაყრდნობით, ხოლო აქტივების ნეტო ღირებულება იანგარიშება მთლიანი ღირებულებიდან დარიცხული ცვეთის გამოკლებით. შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთის“ აქტვების ისტორიული ღირებულება შეადგენს 164 142 ლარს, ხოლო ნეტო საბალანსო ღირებულება 107 326 ლარს. შესაბამისად, დატვირთულ კაპიტალზე უკუგების გააგნარიშება განხორციელდა გრძელვადიანი აქტივის საბალანსო ღირებულების (107 326 ლარი) და WACC-ის ნამრავლის საშუალებით. ამასთან, გრძელვადიანი აქტივი მხოლოდ ის ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივებია, რომლებიც აუცილებელია მომსახურების მისაწოდებლად. გრძელვადიან აქტივებს ცვეთა დაერიცხა წრფივი მეთოდით. მულტიპლექსპლატფორმებთან დაშვების მომსახურების ტარიფის გაანგარიშების ერთიანი მიდგომის

გამოყენების მიზნით, მსგავსი კატეგორიის ძირითად საშუალებებს ცვეთა ერთი და იგივე სასარგებლო მომსახურების ვადისა და ცვეთის მეთოდით დაერიცხათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი 52[2] მუხლის პირველი პუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VII და IX თავების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. არ იქნეს მიჩნეული ხარჯზე ორიენტირებულად ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის მფლობელი ავტორიზებული პირების: ამხანაგობა „თბილისის მულტიპლექსის“; შპს „სამაუწყებლო კომპანია იმერვიზიას“; შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოს“; შპს „ტელე-რადიო კომპანია ბორჯომის“; შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღას“; შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთის“; შპს „ტელეკომპანია დიას“; შპს „ტელეკომპანია გურჯაანის“; შპს „ტელე-რადიო კომპანია ზარის“; შპს „ტელეკომპანია ეგრისის“; შპს „ტელეკომპანია თანამგზავრის“; შპს „ტვ 25“ის; შპს „დამოუკიდებელი ტელე-რადიო კოპანია ოდიშის“; შპს „ეკომის“ მიერ ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმებთან დაშვების მომსახურებაზე დაწესებული ტარიფები;

2. დაევალოს ამ გადაწყვეტილების პირველ პუნქტში ჩამოთვლილ ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის მფლობელ ავტორიზებულ პირებს ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ერთ თვეში ამ გადაწყვეტილების მეორე პუნქტის შესაბამისად განახლებული მულტიპლექსპლატფორმებთან დაშვების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტის) კომისიაში წარმოდგენა და საკუთარ ვებ-გვერდზე გამოქვეყნება;

N	ავტორიზებული პირი	დანახარჯი 1 მგბ/წმ-ზე თვეში (ლარი, გადასახადების გარეშე)	დანახარჯი 1 SD თვეში (ლარი,გადასახადების გარეშე)	დანახარჯი 1 HD თვეში (ლარი,გადასახადების გარეშე)
1	„თბილისის მულტიპლექსი“	2,089	4,491	16,712
2	შპს „სამაუწყებლო კომპანია იმერვიზია“	669	1,438	5,349
3	შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგო“	491	1,055	3,927
4	შპს „ტელე-რადიო კომპანია ბორჯომი“	489	1,051	3,911
5	შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა“	503	1,082	4,025
6	შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთი“	758	1,631	6,067
7	შპს „ტელეკომპანია დია“	575	1,236	4,599
8	შპს „ტელეკომპანია გურჯაანი“	377	810	3,014
9	შპს „ტელე-რადიო კომპანია ზარი“	650	1,398	5,202
10	შპს „ტელეკომპანია ეგრისი“	344	739	2,748
11	შპს „ტელეკომპანია თანამგზავრი“	547	1,176	4,375

N	ავტორიზებული პირი	დანახარჯი 1 მგბ/წმ-ზე თვეში (ლარი, გადასახადების გარეშე)	დანახარჯი 1 SD თვეში (ლარი,გადასახადების გარეშე)	დანახარჯი 1 HD თვეში (ლარი,გადასახადების გარეშე)
12	შპს „ტვ 25“	352	757	2,815
13	შპს „დამოუკიდებელი ტელე-რადიო კოპანია ოდიში“	242	520	1,934
14	შპს „ეკომი“	223	480	1,787

3. დაევალოს ამ გადაწყვეტილების პირველ პუნქტში ჩამოთვლილ ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის მფლობელ ავტორიზებულ პირებს ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმებთან დაშვების მომსახურების მსურველი ავტორიზებული მაუწყებლების მულტიპლექსპლატფორმებთან ხარჯზე ორიენტირებული ტარიფით დაშვების უზრუნველყოფა;

4. დაევალოს ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის მფლობელ ავტორიზებულ პირებს: „თბილისის მულტიპლექსს“; შპს „ტელე-რადიო კომპანია რიონს“; სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიას“ (რუსთავი); სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიას“ (მარნეული); სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიას“ (ბოლნისი); შპს „სამაუწყებლო კომპანია იმერვიზისა“; შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგოს“; შპს „ტელე-რადიო კომპანია ბორჯომს“; შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღას“; შპს „იმპერიას“; შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთს“; შპს „ტელეკომპანია დიას“; შპს „ტელეკომპანია გურჯაანს“; შპს „ტელე-რადიო კომპანია ზარს“; შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა ტვ-ის“; შპს „ტელეკომპანია ეგრისს“; შპს „ტელეკომპანია თანამგზავრს“; შპს „ტვ 25-ს“; შპს „დამოუკიდებელი ტელე-რადიო კოპანია ოდიშს“; შპს „ეკომს“; ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ (ჩხოროწყუ); ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ (წალენჯიხა) ყოველი ფინანსური წლის დასრულებიდან სამ თვეში კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების” მიხედვით მომზადებული ქსელის თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურებების ტარიფის გაანგარიშების კომისიაში წარმოდგენა;

5. წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

6. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ნ. ჯავახიძე) აღნიშნული გადაწყვეტილების, გადაწყვეტილების პირველ პუნქტში ჩამოთვლილ ავტორიზებული პირებისთვის გაგზავნა;
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;
8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს (დ.გოგიჩაიშვილს).

კომისიის თავმჯდომარე	**კახი ბექაური**
კომისიის წევრი	**ვახტანგ აბაშიძე**
კომისიის წევრი	**ელისო ასანიძე**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი	**მერაბ ქათამაძე**